

**„ვეივანიუ“ და ევფემიზმი ჩინურ ენათმეცნიერებაში:
დეფინიციის პრობლემა და ცნებითი საზღვრები**

ანა გოგუაძე

ჩინური ენის ლექტორი, შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგია,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების დოქტორანტი,
ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179, საქართველო,
+995599056622. ana.goguaдзе@tsu.ge
ORCID: 0000-0002-2936-9851

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია იკვლევს ევფემიზმების — 委婉语 ვეი-ვანიუს კვლევის ისტორიას, ტერმინოლოგიურ სირთულეებსა და კულტურულ კონტექსტს ჩინურ ენათმეცნიერებაში. ჩინური ევფემიზმი განიხილება არა მხოლოდ ენობრივ ტროპად, არამედ სოციალურ-კულტურულ ფენომენად, რომელიც უკავშირდება ტაბუს, სოციალურ ჰარმონიასა და კონფუციურ ცნებას 面 子 *miànzi* „სახე“.

კვლევა აჩვენებს, რომ დასავლურ ლინგვისტიკაში ევფემიზმი ძირითადად გულისხმობს უხეში ან ტაბუირებული თემის შერბილებული ფორმით გადმოცემას, მაშინ როცა ჩინურ ლინგვისტიკაში *ვეივანიუ* ბევრად უფრო ფართო ცნებაა. ის მოიცავს არა მხოლოდ პირდაპირ ლექსიკურ ჩანაცვლებას, არამედ მეტაფორას, მეტონიმას, ალუზიას, სიმბოლიკას, ომონიმას, ჰომოფონიას და სხვა სტილისტურ ხერხებს.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში გაერთიანებულია *ვეივანიუს* კვლევის შესწავლა და დეფინიციის საკითხი. გაანალიზებულია ჩენ ვანგტაოს *婉曲 wǎn qū* რიტორიკული განსაზღვრებიდან ჩენ იუენის სოციოლინგვისტურ მიდგომამდე ჩამოყალიბებული თეორიები.

საკვანძო სიტყვები: ევფემიზმი, ვეივანიუ, ჩინური ენა, ენათმეცნიერება.

შესავალი

ევფემიზმი (ბერძნ. *éu* „კარგად“, *phémi* „ვამბობ“) წარმოადგენს დელიკატურ, შერბილებულ გამონათქვამს, რომელიც გამოიყენება იმ ცნების, საგნის ან მოვლენის პირდაპირი დასახელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც მიიჩნევა ტაბუირებულად, უხამსად, უსიამოვნოდ ან პოლიტიკურად არაკორექტულად. ის განიხილება არა მხოლოდ როგორც ლინგვისტური, არამედ როგორც სოციალური და კულტურული ფენომენი (ალან და ბურიჯი 1991).

„ევფემიზმის“ შესატყვისი ტერმინი ჩინურ ენაში არის *委婉语 ვეივანიუ*, რაც ირიბ, ტაქტიან და შეფარვით მეტყველებას

გულისხმობს. იეროგლიფები 委婉 *wěi wǎn*⁷⁹ „ვეი ვან“ - დაკლავნილი, მიხვეულ-მოხვეული, ირიბი, გადაკრული, საამებელი, ტაქტიანი.

ევფემიზმების შესწავლას ჩინურ ენაში აქვს ხანგრძლივი ისტორია და მუდმივი აქტუალობა, რაც განპირობებულია ჩინურ კულტურაში არსებული სოციალური ჰარმონიითა და ტაქტიანი მეტყველებით. ევფემიზმები ჩინეთის ფეოდალურ საზოგადოებაში განვითარდა, როგორც თავდაცვის მექანიზმი, განსაკუთრებით ხანის დინასტიის პერიოდში, როდესაც არასწორად შერჩეულ სიტყვას შესაძლოა სასჯელი მოჰყოლოდა.

წინამდებარე სტატიის მიზანია ჩინურ ენაში ევფემიზმების გაგების, დეფინიციისა და შესწავლის ისტორიის ჩვენება, კერძოდ, ჩინელი მკვლევრების ძირითადი მოსაზრებებისა და ტერმინოლოგიური განსხვავებების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს ამ ენობრივი მოვლენის კომპლექსურ მეცნიერულ გააზრებას.

მეთოდი

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება თეორიული მასალის ანალიზსა და სინთეზს. გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი, რომლის მიზანია დეტალურად განიხილოს ჩინელი ენათმეცნიერების ნაშრომებში წარმოდგენილი ევფემიზმის დეფინიციები, კლასიფიკაციის პრინციპები და კულტურული თავისებურებები. კვლევა მოიცავს დიაქრონულ ანალიზს, რომელიც ასახავს ევფემიზმის გაგების განვითარებას რიტორიკული ფიგურიდან 婉曲辭 სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ ფენომენამდე. ასევე გამოყენებულია კონცეპტუალური ანალიზი ტერმინების 委婉 *wěi wǎn* „ვეივან“ და 委婉语 *weiwanyu* „ვეივანიუ“ ურთიერთმიმართების დასადგენად.

⁷⁹ 委婉语 განმარტება: <https://cd.hwxnet.com/view/gblekjgipiffeme.html>

შედეგები

ჩატარებული თეორიული მასალის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ ევფემიზმის კვლევა ჩინურ ენაში რიტორიკული აღწერიდან თანდათანობით გადაიზარდა სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ ანალიზში.

შედეგების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ჩინური ევფემიზმები თავისებურად აერთიანებს ლინგვისტურ, კულტურულ და სოციალური ფუნქციებს. მათი ისტორიული და თანამედროვე მაგალითები ნათლად მოწმობს, რომ *委婉语* ვეი-ჯანიუ წარმოადგენს ისეთ კატეგორიას, რომელიც გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე დასავლური ტერმინი „ევფემიზმი“, და სწორედ ამიტომ მისი კვლევა მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური მიდგომით.

დისკუსია

ვეი-ჯანიუს ჩინურ ენაში უძველესი ფესვები აქვს. ჩინური ევფემიზმის გამოყენების ყველაზე ადრეული ნიმუშია ჩინური პოემების კრებული *诗经* „სიმღერების წიგნი“ (ძვ. წ. XI-VI). მაგალითად, ლექსში *谷风* „მთის ქარები“ მეტაფორული ევფემიზმი *习习谷风, 以阴以雨* „ქრის მთის ქარი; კვლავ ნისლი და წვიმა“, ირიბი, ევფემისტური გამოხატვის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია, რადგან ფუნქციურად შერბილებულია, მაგრამ ფორმით პოეტურ-მეტაფორულია. აქ ავტორი მოახლოებულ ემოციურ კონფლიქტს ღრუბლიანი ამინდისა და წვიმის აღწერით მიაწვდის. კონტექსტში ქალი უჩივის საყვარელის გაციებულ გრძნობებსა და განშორებას *风雨* „ქარი და წვიმა“ ხშირად გამოიყენება როგორც ემოციური სიცივე, სირთულე, ან ურთიერთობის გაციება.

უკვე ხანის დინასტიის პერიოდში ევფემიზმები გამოიყენებოდა როგორც სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოების მექანიზმი. მაგალითად, ძველ ჩინეთში, იმპერატორების ან მაღალი

რანგის მოხელეების 死 *sǐ* „გარდაცვალების“ აღსანიშნავად ხშირად გამოიყენებოდა მეტაფორული ევფემიზმები, როგორიცაა 殁 *jiàbēng* – „იმპერატორის ეტლი ჩამოიშალა“, რაც ნიშნავს იმპერატორის სიკვდილს ან 薨 *hōng* – „გარდაიცვალა“, რაც გამოიყენება მაღალი რანგის მოხელესთან მიმართებაში. კლასიკურ ტექსტებში, როგორიცაა 汉书 *ხანშუ* და 史记 *შიძი*, ხშირად გვხვდება ისეთი ევფემისტური გამოთქმები, რომლებიც პირდაპირი სახელის ნაცვლად გარდაცვლილ იმპერატორზე 升天 *shēngtiān* „ზეცად აღსვლა“ ან 走了 *zǒule* „გზის გაგრძელება“ იყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინები ჩინელებისთვის დღესაც გასაგებია, ისინი, ძირითადად, ისტორიულ ტექსტებში გვხვდება.

საინტერესოა, რომ ჩინურ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ენაში ევფემიზმი ფუნქციონირებდა არა მხოლოდ თავაზიანობისთვის, არამედ რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, იმპერატორის სახელის პირდაპირი წარმოთქმა შეიძლება ჩათვლილიყო თავხედობად ან ღალატად. აქედან გამომდინარე, ჩინურ კულტურაში ევფემიზმი მხოლოდ ლინგვისტური ხერხი კი არა, არამედ სოციალური გადარჩენის სტრატეგიაც იყო, ამიტომ ალტერნატიული, შეფარული ფორმები საზოგადოებაში ნორმად იქცა.

ტერმინოლოგიურად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნება 委婉语 *ვეივანიუ*, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „დელიკატურ, თავაზიან მეტყველებას“. დასავლურ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული ტერმინი *ევფემიზმი* ძირითადად განსაზღვრულია, როგორც უხეში ან ტაბუირებული ტერმინის რბილი ალტერნატივა. ჩინურ ენაში *ვეივანიუ* ბევრად უფრო ფართო სისტემას მოიცავს: გარდა ლექსიკური ჩანაცვლებისა, მასში შედის მეტაფორა, მეტონიმია, ალუზია, ომონიმია, ჰომოფონია და სხვა სტილისტურ ხერხებს. რაც გვიჩვენებს, რომ თუ დასავლური

გაგებით მეტაფორა და ევფემიზმი ცალკეულ კატეგორიებად განიხილება, ჩინურში ისინი ერთიან კონცეპტუალურ სფეროში იქცევა.

მნიშვნელოვანი ასპექტია ე.წ. *მეტაფორული ევფემიზმის* როლის შესწავლა. საერთაშორისო გაგებით მეტაფორა შესაძლოა იძენდეს ევფემისტურ დატვირთვას, თუმცა ლინგვისტები მაინც განცალკევებით განიხილავენ მას. განსხვავებული სურათია ჩინურში, სადაც მეტაფორა არ არის ევფემიზმის დამხმარე ხერხი, არამედ მისი ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. მაგალითად, „下崗“ („თანამდებობიდან ჩამოსვლა“) უმუშევრობის მნიშვნელობით ან „有喜“ („სიხარული აქვს“) ორსულობისთვის — ყველა ეს მაგალითი აჩვენებს, რომ მეტაფორა ჩინურ ევფემიზმებში ცენტრალური და სისტემური მექანიზმია.

面子 *miànzi* „სახის“ კონცეფცია. ჩინური ევფემიზმები ღრმად არის ფესვგადგმული ჩინურ კულტურაში, მათ შორის კონფუციისტური სწავლებებში, რომელიც ხაზს უსვამს ჰარმონიას, პატივისცემასა და არაპირდაპირ კომუნიკაციას. 面子 *miànzi* მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევფემიზმების გამოყენებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვებისთვის უხერხულობის შექმნა. წარსულში სოციალური იერარქია მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ევფემიზმების გამოყენების წესებს. ამ კონტექსტში სასარგებლოა ირვინგ გოფმანის (1955) „Face-work“ თეორიის ხსენება, რომლის მიხედვითაც, ინდივიდები ცდილობენ დაიცვან თავიანთი სოციალური სახე და თავი აარიდონ სახის დაკარგვას (Face-loss). გოფმანის განმარტებით, „სოციალური სახე“ არის ის პოზიტიური იმიჯი, რომელიც ადამიანს სურს, რომ საზოგადოებამ აღიქვას, და ამის შესანარჩუნებლად გამოიყენება ენობრივი და ქცევითი სტრატეგიები, მათ შორის ევფემიზმებიც. ჩინურ კულტურაში ეს თეორია პრაქტიკულად ეხმიანება 面子-ის შენარჩუნების მნიშვნელობას და 丢脸 *diūliǎn* – ანუ „სახის დაკ-

არგვის“ თავიდან აცილების საჭიროებას. სწორედ ამგვარ სირცხვილის ან უხერხულობის თავიდან აცილებას ემსახურება ეფემიზმების აქტიური და ტაქტიანი გამოყენება ჩინურ ენაში – იქნება ეს საუბრის დროს, წერილობით კომუნიკაციაში თუ საზოგადოებრივ დისკურსში.

ამგვარად, ეფემიზმი არ განიხილება მხოლოდ, როგორც ლექსიკური ჩანაცვლება, არამედ როგორც პიროვნული ღირსების დაცვის სოციალური მექანიზმი, რომელიც ეფუძნება კულტურულად ფესვგადგმულ ქცევის მოდელებს.

კონფუციური სწავლებები (ჰარმონია, პატივისცემა და სხვა): კონფლიქტის თავიდან აცილება ნაცვლად პირდაპირი უთანხმოებისა, მაგ., 这个想法挺有意思的 *zhège xiǎngfǎ tǐng yǒu yìsi de* – „ეს იდეა საკმაოდ საინტერესოა“ (შეიძლება ნიშნავდეს, რომ სინამდვილეში არ ეთანხმებიან). 可能有些不妥 *kěnéng yǒu xiē bù tuǒ* – „შესაძლოა რაღაც არ იყოს მთლად სწორი/შესაფერისი“ (პირდაპირი კრიტიკის ან უარყოფის ნაცვლად).

面子 *miànzi* „სახის“ კონცეფცია: სხვებისთვის უხერხულობის თავიდან აცილება, მაგალითად, პატარა საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა (თავაზიანობა) მაშინაც კი, თუ ადამიანს სურს საჩუქრის მიღება, ხშირად თავაზიანად ამბობენ 不用了, 太客气了 *bú yòng le, tài kèqi le* – „არ არის საჭირო, ძალიან თავაზიანი ხართ“ (რაც სინამდვილეში იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელია, რომ მეორედ შესთავაზებენ).

არასასიამოვნო ამბების შეტყობინება: ნაცვლად პირდაპირი კრიტიკისა ან უარყოფისა, გამოიყენება არაპირდაპირი მინიშვნები, მინიშვნეები ან პასიური კონსტრუქციები, რათა შემცირდეს პირის „სახის“ დაკარგვის რისკი.

ჩენ ვანგტაო იყო პიონერი, რომელმაც ეფემიზმს 婉曲 *wanqu* და 讳饰 *huishi* განმარტება მისცა. ადრეულ ეტაპზე მან თავის ნაშრომში „შესავალი რიტორიკაში“ 修辞学发凡 ,

ევფემიზმი 婉曲辭 *wanquci* განსაზღვრა როგორც სტილისტური ფიგურა. მისი განმარტებით, ევფემიზმი გულისხმობდა „რაიმეს ირიბად თქმას, მაგრამ მისი მიმანიშნებელი და შემცვლელი შემოვლითი და დაფარული სიტყვებით, ან თუნდაც მეტაფორული გამოხატულებით.“ ჩენ ვანგტაოს (2000) თანახმად, ევფემიზმები ემსახურება ტაბუდადებული ან მგრძნობიარე თემების შერბილებას ირიბი და ხატოვანი გამოთქმების საშუალებით. ეს მიდგომა ევფემიზმს ძირითადად ტროპად მიიჩნევდა და აქცენტს აკეთებდა მის ესთეტიკურ და სტილისტურ ღირებულებაზე.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 1980-იან წლებში, როდესაც ჩენ იუენმა ევფემიზმის კვლევას სოციალურ-კულტურული პერსპექტივა შესძინა. მან პირდაპირი კავშირი დაადგინა ევფემიზმსა და ენობრივ ტაბუს შორის. ჩენ იუენის განმარტებით, „ევფემიზმი მეტ-ნაკლებად ტაბუდან მომდინარეობს...; ევფემიზმი არის სასიამოვნო, დაფარული სიტყვების გამოყენება ნაცვლად შეურაცხყოფელი სიტყვებისა... ენობრივი ტაბუს ჩასანაცვლებლად“ (ჩენ იუენი 1983). ამგვარად, აქცენტი გადავიდა ევფემიზმის ფუნქციაზე, რომელიც ემსახურება სოციალური კონფლიქტის თავიდან აცილებასა და კულტურული ტაბუების დაცვას. ჩინელი ლინგვისტები ერთხმად თანხმდებიან, რომ ჩენ იუენის მიერ შემოთავაზებული ეს განმარტება აერთიანებს ევფემიზმს ტაბუდადებულ სიტყვებთან და ცხადყოფს პირდაპირ კავშირს ევფემიზმსა და ტაბუს შორის.

ევფემიზმის განმარტების სირთულეები. ევფემიზმების კვლევის სფეროში არსებობს გამოქვეყნებული ნაშრომების მნიშვნელოვანი კორპუსი. მკვლევართა უმრავლესობას ჩამოყალიბებული აქვს ზოგადი წარმოდგენა შესასწავლ ობიექტზე და თითქოს კარგად იცნობს ევფემიზმის ენობრივ მოვლენას, თუმცა მისი მკაფიო შემოსაზღვრა კვლავ სირთულეს წარმოადგენს. ამ საკ-

ითხთან დაკავშირებით, შუ ტინგფანგმა და სიუ ძინიუნმა საკითხი დააყენეს ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა პერიოდში. მიუხედავად ამისა, თითქმის ათწლეულის შემდეგ არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ზუსტი დეფინიციის არარსებობა მნიშვნელოვან შეფერხებას უქმნის საგნის სიღრმისეულ შესწავლას. ლი ძიუნხუა (2004) ხაზს უსვამს, რომ „ევფემიზმის თანამედროვე კვლევისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ევფემიზმების შემდგომი კვლევა და განსაზღვრა. მხოლოდ მკაფიო კონოტაციისა და გაფართოების საფუძველზეა შესაძლებელი ევფემიზმების სიღრმისეული ანალიზი“.

ევფემიზმების დეფინიციებში არსებული ხარვეზები:

- სტილისტურ და ენობრივ მოვლენათა აღრევა ევფემიზმის განმარტებისას: მიუხედავად იმისა, რომ სტილისტიკა და მეტყველების ფიგურები მჭიდროდაა დაკავშირებული, ისინი ფუნდამენტურად განსხვავებულ ცნებებს წარმოადგენენ. ევფემიზმის დეფინიციებში ხშირია ამ ორი კატეგორიის აღრევის ტენდენცია, რაც იწვევს ცნებით გაურკვევლობასა და ანალიტიკურ სირთულეებს.
- წრიული დეფინიციები: რიგ განმარტებებში გამოყენებულია ისეთი ცნებები, რომლებიც თავად საჭიროებენ განმარტებას. ეს მიდგომა არაეფექტურს ხდის დეფინიციას და ხელს უშლის ევფემიზმის არსის მკაფიო გაგებას.
- ექსტენსიონალის შევიწროება: აღინიშნება ტენდენცია, როდესაც ევფემიზმის განმარტება ზედმეტად ვიწრო საზღვრებშია მოქცეული და ვერ მოიცავს ფენომენის ყველა მრავალფეროვან გამოვლინებას. ეს შეზღუდვა აფერხებს ევფემიზმის სრულყოფილად შესწავლასა და კლასიფიკაციას.

ტერმინოლოგიური განსხვავება: „ვეივან“ და „ვეივანიუ“.

ჩინურ ლინგვისტიკაში არსებობს ფუნდამენტური ტერმინოლოგიური განსხვავება 委婉 ვეივან და 委婉语 ვეივანიუ ცნებებს შორის.

რის, რაც კვლევითვის უმნიშვნელოვანესია. იეროგლიფები 委 wěi wǎn ზედსართავი სახელია, ნიშნავს „დელიკატური; ტაქტიანი“. იგი აღწერს გამოხატვის მანერას, სტილს ან მიზანს, ხშირად გამოიყენება ქცევის ან მეტყველების ირიბი, ტაქტიანი მეთოდების აღსაწერად. ჩინური სიტყვები „ვეი“ და „ვან“ ორივე ნიშნავს 曲 qū – დაგრეხილი, მიხვეულ-მოხვეული, დაკლავნილი, ირიბი. ძველ ჩინურში „ვეი“ და „ვან“ ჩვეულებრივ ჩნდებიან ცალ-ცალკე ან სხვა ერთმარცვლიან სიტყვებთან ერთად. გამოიყენება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა 委曲 wěi qū „უსამართლობა; დაჩაგრულობა; გაუგებრობა“, 委顺 wěi shùn „დათმობა; დამორჩილება“, 婉转 wǎn zhuǎn „გლუვი; სასიამოვნო (ხმა); მოქნილი; ირიბი“ და 婉静 wǎn jìng „ნაზი და მშვიდი; დახვეწილი და წყნარი“.

თანამედროვე ჩინური ენის ლექსიკონში უკვე შემდეგი განმარტებაა მოყვანილი: 婉转 wǎn zhuǎn, როგორც სიმღერის, ჩიტების ჭიკჭიკის და სხვა მელოდირი ხმების აღწერისას, ისე კონკრეტულად კომუნიკაციისას.

როგორც უშუალოდ ორმარცვლიანი წყვილი 委婉 ვეივან: 委 ვეი და 婉 ვან საკმაოდ გვიან გამოჩნდა, ცინგის დინასტიის დროს უ მინგის რომანში „კონფუციელების არაოფიციალურ ისტორიაში“. აქ გვხვდება, როგორც არაპირდაპირი, მიკიბულ-მოკიბული, თანაც ერთად გამოიყენება ორმარცვლიან სიტყვად, იგი გამოხატავს მუსიკის „გრეხილს და ტრიალს“, ანუ „ამაღელვებელს“ ნიშნავს. ასევე ცაო სიუეცინის რომანში „სიზმარი წითელ სასახლეში“ გვხვდება 委婉解劝 wěi wǎn jiě quàn „დელიკატურად გადათქმევინება“.

პრაქტიკაში გამოიკვეთა ორი ძირითადი ასპექტი: პირველი, „ვეივან“ გამოიყენება ქცევის აღსაწერად, რაც გულისხმობს რაიმეს არაპირდაპირი, ირიბი მეთოდებით განხორციელებას სასურველი შედეგის მისაღწევად. მეორე, ის გამოიყენება გამოხ-

ატვის მანერისთვის, რაც გულისხმობს ორიგინალური და დახვეწილი ფორმით რაიმეს გადმოცემას ან ასახვას. ამ შემთხვევაში, პირველადი განზრახვა და ემოციები შესაძლოა გამოიხატოს მრავალფეროვანი გზითა და ტექნიკით, რაც ევფემიზმის არსს შეადგენს („თანამედროვე ჩინური ლექსიკონი“).

რაც შეეხება ევფემისტურ ქცევას, ანუ დელიკატურ მოქმედებას, მისი პირველი გამოხატულება გვხვდება 论语 „ლუნ იუში“. 孟子 „მენგ წიში“ კი ტერმინი უკვე კონკრეტულად ევფემისტურ საუბარს ანუ დელიკატურ სიტყვა-პასუხს აღნიშნავს.

ამისგან განსხვავებით, 委婉语 ვეივანიუ არის არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს უშუალოდ ლინგვისტურ ფენომენს – ევფემიზმს. ის წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც მოიცავს „ვეივან“-ის სტილისტურ ასპექტს და ემსახურება კომუნიკაციაში დელიკატურობის მიზნის მიღწევას.

ჩინელი მეცნიერების მიერ ევფემიზმების კვლევა უძველესი შინაარსის გათვალისწინებით შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ასპექტად: პირველი არის ტაბუს სხვადასხვა ფორმისა თუ სახის შესწავლა, ხოლო მეორე – ხალხური წეს-ჩვეულებების შესწავლა. შესწავლის ორივე ობიექტი სათავეს ჭოუს დინასტიიდან იღებს.

ევფემიზმების თანამედროვე კვლევები შესაძლებელია დაიყოს ორ კატეგორიად:

პირველი კატეგორია მოიცავს ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციის მქონე ტაბუირებული ფენომენების შესწავლას. ამ მიმართულების თვალსაჩინო ნიმუშია ჩენ პეიძიას 1988 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ჩინური ენობრივი ტაბუების კვლევა“.

მეორე კატეგორია აერთიანებს ხანგრძლივი ისტორიის მქონე ევფემიზმების სტილისტურ კვლევებს, რომლებიც ფოკუსირებულია მათ სტილისტურ გამოვლინებებზე, ამის მაგალითია

უ ლიცეუმის „ჩინური ევფემიზმების სტილისტური კვლევა“. ამასთან, აღსანიშნავია მკვლევართა ჯგუფი, რომლებიც ევფემიზმებს განიხილავენ კულტურული, სოციალურ-ფსიქოლოგიური და პრაგმატული ფუნქციების პერსპექტივიდან.

ბევრი მეცნიერი ასევე ატარებს ჩინური და ინგლისური ენების ევფემიზმების შედარებით კვლევას. გარდა ამისა, ზოგიერთი მეცნიერი ლექსიკოგრაფიულ საქმიანობასაც ეწეოდა, მაგ. ჭანგ კუნგკუეის რედაქტორობით გამოცემული „ჩინური ევფემიზმის ლექსიკონი“, ლიოუ ჩუნპაოს მიერ შედგენილი „ინგლისური ევფემიზმების ლექსიკონი“. (ლიოუ 2004)

აღსანიშნავია, ჭანგ იუფინგისა და სხვათა ავტორობით დაწერილი მონოგრაფია „ევფემიზმები“, რომელიც ვანგ ლითინგის რედაქტორობით გამოცემული „თანამედროვე კულტურის ლექსიკის სერიული გამოცემის“ შემადგენელი ნაწილია.

ჭანგ კუნგკუეი ევფემიზმებს (როგორც ცალკეულ ლექსებს, ისე ფრაზებს) სამ ძირითად კატეგორიად ყოფს:

- 1) ძველი და თანამედროვე;
- 2) დროებითი, კონტექსტზე დამოკიდებული ევფემიზმები;
- 3) ფიქსირებული, ლექსიკალიზებული ევფემიზმები.

პირველი კატეგორია - ძველი და თანამედროვე - მოიცავს ძველ ევფემიზმებს, რომლებიც დღემდე აქტიურად გამოიყენება ენაში, რომელთა შორის გვხვდება როგორც ისტორიულად დამკვიდრებული, ასევე თანამედროვე ენაში აქტიურად გამოყენებული ერთეულები.

მეორე კატეგორია - დროებითი, კონტექსტზე დამოკიდებული ევფემიზმები - მოიცავს როგორც ცალკეულ ლექსებსა და შესიტყვებებს, ისე წინადადებებსა და მთლიან ტექსტებსაც კი. ასეთი ევფემიზმები წარმოიქმნება კონკრეტულ სიტუაციაში, დროის მოკლე მონაკვეთში გამოიყენება და მათი მნიშვნელობა მთლიანად დამოკიდებულია კონტექსტზე. ასეთი ევფემიზმები

შეიძლება იყოს იმპროვიზაციული, იუმორისტული ან გამიზნული მგრძნობიარე თემის გვერდის ავლისთვის მოცემულ მომენტში. ამასთან ჭანგ იუფინგი (1998) აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიაში შედის ის ენობრივი სირთულეებიც, რომლებიც ევფემიზმის ფუნქციას მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში და სპეციფიკური ფორმით ასრულებენ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს ევფემიზმების საერთო რაოდენობა. თუმცა, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავარი კრიტერიუმია ენობრივი ერთეულის მიერ ევფემიზმის მკაფიო ფუნქციის შესრულება, რის საფუძველზეც ისინი ევფემიზმების რიცხვში უნდა შევიყვანოთ.

მესამე კატეგორია - ეს კატეგორია აერთიანებს ევფემიზმებს, რომლებიც უკვე მყარად არის დამკვიდრებული ენაში და აღიქმება, როგორც კონკრეტული ცნების შემცვლელი ნეიტრალური ან უფრო რბილი გამოხატულება. ასეთი ევფემიზმები ხშირად გვხვდება ლექსიკონებში და მათი მნიშვნელობა ენის მატარებელთა უმრავლესობისთვის გასაგებია, კონტექსტის მიუხედავად, ხშირად უკავშირდება ტაბუირებულ თემებს ან სოციალურად მგრძნობიარე საკითხებს. მაგალითად ჩინურ ენაში „გარდაიცვალა“ არის ფიქსირებული, ლოკალიზებული ევფემიზმი სიტყვა „მოკვდა“-ს ნაცვლად. ის საუკუნეებია გამოიყენება და მისი მნიშვნელობა ყველასთვის ნათელია.

როგორც შუ ტინგფანგი და სხვები აღნიშნავენ, სტილისტური მიდგომით ევფემიზმის კვლევას „გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებს. კერძოდ, აშკარაა, რომ ევფემიზმის განმარტება არ არის ნათელი, ევფემიზმის წარმოქმნის სოციალური მიზეზები უგულველყოფილია და ევფემიზმის არსებითი მახასიათებლები არ არის სიღრმისეულად გამოვლენილი“ (შუ ტინგფანგი, 1995).

არც ჩინურსა და არც ინგლისურ დეფინიციაში სათანადოდ არ არის გათვლისწინებული ევფემიზმების უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორი - ენობრივი სიტუაცია, იგივე კონტექსტი.

ლი ძიუნხუას მოსაზრებით, ევფემიზმების მეცნიერული განსაზღვრისთვის, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: სპეციფიკური საკომუნიკაციო სივრცე, მათ შორის სოციალური და კულტურული კონტექსტი, ტრადიციული წეს-ჩვეულებები და ჩვევები, კონკრეტული შემთხვევის ატმოსფერო, საკომუნიკაციო სუბიექტების (ე.ი. მოსაუბრე, მწერალი და მსმენელი) ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გამომხატველი კონკრეტული საკომუნიკაციო მიზნები, გამოყენებული ენობრივი საშუალებები და სამეტყველო საშუალებები (სინონიმური ლექსიკა, წინადადებების სტრუქტურები და სინონიმური გამოთქმები), ევფემიზმების სემანტიკური მახასიათებლები და მათი პირდაპირი კავშირი ენასთან. ამ კრიტერიუმების საფუძველზე ავტორი ევფემიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ევფემიზმი გამოიყენება ტაბუების გამო, გაღიზიანების ან აღშფოთების თავიდან ასაცილებლად, პატივისცემის გამოხატვის ან თავდაცვის მიზნით“ (ლი ძიუნხუა, 2010). ამგვარად, ავტორი ცდილობს ევფემიზმის განმარტებას პრაგმატიკის, სემანტიკისა და გამოხატვის ტექნიკის გადმოსახედიდან.

უპირველეს ყოვლისა, მან სცადა გაემიჯნა ცნებები „ვეივან“ (დელიკატური/ დელიკატურად) და „ვეივანიუ“ (ევფემიზმი). მეტყველების აქტამდე, „ვეივან“ შეიძლება განვიხილოთ როგორც მიზანი, რომლის მიღწევასაც მოსაუბრე ცდილობს სამეტყველო მოქმედებების შესრულებისას, კონკრეტული ხერხის გამოყენებით, რაც გულისხმობს შესაბამის საკომუნიკაციო ინსტრუმენტს - ლინგვისტურ მოვლენას.

ჩინურ ენაში „ვეივან“ და „ვეივანიუ“ მჭიდრო კავშირში მყოფი ორი განსხვავებული ცნებაა. მაშასადამე, ზემოაღნიშნული განმარტების საფუძველზე, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, რომ „ვეივანიუ“ ანუ ევფემიზმი წარმოადგენს ლინგვისტურ ფენომენს, რომელიც ატარებს სტილისტურ დატვირთვასაც. ეს ფენომენი უნივერსალურია: რამდენადაც ენა ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი და ხშირად შეუცვლელი საშუალებაა, სანამ ადამიანთა საზოგადოება არსებობს, იარსებებს „ვეივან“ როგორც სტილისტური მოვლენა. შესაბამისად, სანამ ენა რჩება კომუნიკაციის უმთავრეს ინსტრუმენტად, „ვეივანიუ“ - ევფემიზმები აუცილებლად წარმოიქმნება და მუდმივად გამოიყენება, რაც მას ლინგვისტურ ფენომენად აქცევს, რომლის უგულვებელყოფა არ შეიძლება. მეორეც, ევფემიზმი არის ღრმა და ვრცელი სოციალური, ისტორიული და კულტურული კონტექსტის პროდუქტი და კონკრეტული ენობრივი საკომუნიკაციო გარემოს შეზღუდვების ან გავლენის შედეგი.

„ლინგვისტური ლოგიკის შესავალში“ ვანგ ვეისიენი და სხვები გვთავაზობენ მოსაზრებას, რომ პრაგმატული დეფინიციების გამოყენებისას ცხოვრებისეულ კონტექსტში, კონტექსტის სრული მნიშვნელობა არის ნიშანთა მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს აზრებსა და გრძნობებს საზოგადოებაში გამოყენებული რაიმეს მიმართ. ე.წ. სემიოტიკური სიტუაცია, ცხოვრებისეული სამყაროს გადმოსახედიდან, მოიცავს მრავალ ფაქტორს: მას აქვს კონკრეტული დროითი და სივრცული პარამეტრები, მინიმუმ ორი ურთიერთმოქმედი პირი, კომუნიკაციის ობიექტი, ნიშნები და ნიშნებით მნიშვნელობის გამოხატვის პროცესი. მეორე მხარე აღიქვამს და აანალიზებს ამ ნიშნებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნიშანთა მდგომარეობა (ვანგ ვეისიენი, 1989).

ევფემიზმების მახასიათებლები. ლი ძიუნხუა ევფემიზმების მახასიათებლებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ევფემიზმი არის ერთგვარი სასიამოვნო გამოთქმის ფორმა, რომელსაც შეუძლია დადებითი ემოციური ფონის შექმნა. ევფემიზმები ანაცვლებს უსიამოვნო მნიშვნელობის ან უპატივცემულობის შემცველ ენობრივ ფორმებს. ჩინური ევფემიზმები ფართოდ არის გავრცელებული ყოველდღიურ კომუნიკაციაში და მათი ძირითადი მახასიათებლები შემდეგ ასპექტებში გამოიხატება:

- *არაპირდაპირობა.* ენა არის ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და ემოციური კომუნიკაციის ინსტრუმენტი. უხეში ან უტაქტო გამოთქმებისგან გამოწვეული ემოციური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა აზრის დელიკატური და შერბილებული ფორმით გადმოცემის სხვადასხვა ხერხი, მათ შორის ევფემიზმები, რაც, ამრიგად, ევფემიზმის გულისხმობს აზრის დახვეწილ და უწყენარ ფორმით გამოხატვას.
- *ეროვნულობა.* ენა არის სოციალური მოვლენა და კულტურის განუყოფელი ნაწილი. სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული ბუნებრივი პირობები, სოციალური გარემო, კულტურა, ცხოვრების სტილი და ღირებულებები განსხვავებულია. შესაბამისად, განსხვავებულია ევფემიზმებიც.
- *ეპოქალურობა.* ენა საზოგადოების ქმნილებაა და საზოგადოების განვითარება თუ ცვლილებები აისახება მასზე. სხვადასხვა ისტორიული ეპოქა თუ მოვლენა ტოვებდა თავის კვალს ენაზე. აქედან გამომდინარე, არსებობს ევფემიზმები, რომლებმაც გაუძლო დროს და არსებობს ახალი ჩამოყალიბებული ევფემიზმები.
- *რეგიონულობა.* ჩინეთი დიდი ქვეყანაა, მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და მნიშვნელოვანი დიალექტური განსხ-

ვაგებებით. შესაბამისად, ევფემიზმებსა და მათ გამოყენებას რეგიონალური, ანუ დიალექტური თავისებურებები ახასიათებს.

- *სოციალურობა*. ფეოდალურ ჩინეთში წარმოიშვა განსხვავებული ევფემიზმები, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა სოციალური ფენის მიერ განსხვავებული ევფემისტური ფორმების შექმნით, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთო მახასიათებლებიც ჰქონდა ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სოფრცის ფარგლებში. შესაბამისად, სოციალური დიფერენციაცია ევფემიზმებშიც აისახებოდა.

ჩატარებული თეორიული მასალის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ევფემიზმის კვლევა ჩინურ ენაში თანდათანობით განვითარდა რიტორიკული აღწერიდან სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ ანალიზამდე.

ჩინური ევფემიზმების ისტორიული განვითარება. ჩინურ ენაში სიტყვების მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება და საზოგადოებრივი კონტექსტის გავლენით ახალ სემანტიკურ ფენებს იძენს. მაგალითად, ტერმინი 小姐 *xiǎojiě* თავდაპირველად ტრადიციულად, ნიშნავდა „ახალგაზრდა ქალბატონს“ ან „გოგონას“ (თავაზიანი მიმართვა), თუმცა, თანამედროვე სასაუბრო ჩინურში, განსაკუთრებით გარკვეულ კონტექსტებში, ის ახლა ევფემისტურად „მეძავს“ აღნიშნავს. ეს სიტყვა თავდაპირველად ნიშნავდა „ამხანაგს“, „თანამებრძოლს“, რომელიც იზიარებდა ერთსა და იმავე იდეალებს ან მიზნებს, ფართოდ გამოიყენებოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრებისა და მომხრეების მიმართ, როგორც „ამხანაგი“. თუმცა, თანამედროვე ჩინეთში 同志 *tóngzhì* ხშირად გამოიყენება ლგბტქ+ საზოგადოებაში, განსაკუთრებით - გეი მამაკაცების მიერ, როგორც თვით-იდენტიფიკაციის ტერმინი. მიუხედავად ამ ახალი მნიშვნელო-

ბისა, 同治 *tóngzhì* კვლავ გამოიყენება ფორმალურ, დიპლომატიურ და პოლიტიკურ კონტექსტში, თუმცა მისი სლენგური დატვირთვა ყოველდღიურ მეტყველებაში გაცილებით უფრო თვალსაჩინოა. სლენგური მაგალითია 绿茶 *lǜchá* — პირდაპირი და ძირითადი მნიშვნელობით არის „მწვანე ჩაი“ (სასმელი). თუმცა თანამედროვე ქალაქურ მეტყველებაში ეს ტერმინი აღწერს მანიპულატორი ქალის ტიპს, რომელიც თავის ნამდვილ ზრახვებს მალავს, ირგებს უწყინარ, უმწიკვლო და საყვარელ იმიჯს, მაგრამ ფარულად არის გამომყენებელი, ცბიერი და საეჭვო მორალის მქონე.

მაგალითების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ, ევფემიზმები ჩინურ ენაში არამარტო რეალობის შერბილებისა და დაფარვის ინსტრუმენტად გვევლინება, არამედ მათი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება, ხშირად იღებს განსხვავებულ კონოტაციას. სწორედ ამ ცვალებადობაში ვლინდება ევფემიზმის კულტურულ-ლინგვისტური მნიშვნელობა - როგორც ენის ცოცხალი და ცვალებადი სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო ჩინური ევფემიზმების — 委婉语 *wēiwǎnyǔ* კვლევის ისტორიის, დეფინიციების, ტერმინოლოგიური სირთულეების და კულტურული კონტექსტის სისტემატიზება, რაც მიღწეულ იქნა თეორიული ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით. კვლევამ აჩვენა, რომ ვეივანიუ ჩინურ ენაში არა მხოლოდ ენობრივი ტროპია, არამედ სოციალურ-კულტურული ფენომენი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ტაბუს, სოციალურ ჰარმონიასა და კონფუციურ ცნებას 面子 *miànzi*, „სახე“.

მსჯელობის ნაწილში ჩვენ განვიხილეთ ევფემიზმების კვლევის ისტორიული განვითარების ეტაპები, ტერმინოლოგიური

განსხვავება „ვეივან“ და „ვეივანიუ“-ს შორის, მეტაფორული ევფემიზმის როლი ჩინურ კულტურულ კონტექსტში და 面子-ის („სახის“) კონცეფციის გავლენა ევფემისტურ მეტყველებაზე.

ანალიზმა გამოავლინა, რომ ჩინური ევფემიზმი გაცილებით ფართო და მრავალშრიანია, ვიდრე დასავლური. ის მოიცავს პირდაპირ ლექსიკურ ჩანაცვლებას, მეტაფორას, მეტონიმიას, ალუზიას, სიმბოლიკას, ომონიმიას, ჰომოფონიას და სხვა სტილისტურ ხერხებს, რაც სრულყოფილ სურათს იძლევა მისი ფუნქციონირების მრავალფეროვნებისა და კომპლექსურობის შესახებ.

კვლევის ისტორიულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ *ვეივანიუ* ჩინეთში განვითარდა რიტორიკული სტრატეგიიდან სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ ფენომენამდე. ეს ხაზს უსვამს მისი ფუნქციის მნიშვნელობას სოციალურ ურთიერთობებში, კომუნიკაციის კონტექსტსა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. *ვეივანიუ* წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ტაქტიან გადმოცემას, დისკომფორტის შემცირებასა და სოციალური ჰარმონიის შენარჩუნებას, რაც მას კომუნიკაციისა და კულტურის ორგანულ ნაწილად აქცევს.

საბოლოოდ, ნაშრომი ხაზს უსვამს ვეივანიუს კვლევის გაგრძელების აუცილებლობას უფრო სისტემური და ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით, რათა გამოიკვეთოს მისი კომპლექსური ბუნება, სტილისტური ფორმები და სოციალური ფუნქციები თანამედროვე ჩინურ ენობრივ გარემოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Allan, K., & Burridge, K. (1991). **Euphemism and dysphemism: Language used as shield and weapon**. New York, NY: Oxford University Press.
- Book of Songs. (11th–6th century BCE). **Classic of Poetry**. (გვ.28)
- 曹雪芹 (清). (1982). **红楼梦**. 北京: 人民文学出版社.
- ცაო სიუეცინი (ცინის დინასტია). (1982). **სიზმარი წითელ სასახლეში**. პეკინი: სახალხო ლიტერატურის გამომცემლობა.
- 陈佩昭. (1988). **汉语禁忌语研究**. 南京: 南京大学出版社.
- ჩენ ფეიჭაო. (1988). **ჩინური ტაბუდადებული ენის კლექა**. ნანკინი: ნანკინის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 陈望道. (2000). **修辞学发凡**. 上海: 上海人民出版社 (原版出版于 1932 年).
- ჩენ ვანგტაო. (2000). **რიტორიკის შესავალი**. შანხაი: შანხაის სახალხო გამომცემლობა.
- 陈原. (1983). **语言的幽默和委婉**. 北京: 商务印书馆.
- ჩენ იუენი. (1983). **ენის იუმორი და ტაქტიანობა**. პეკინი: კომერციული გამომცემლობა.
- 季少德. (1986). **古汉语修**. 吉林文史出版社.
- ძი შაოტე. (1986). **ძველი ჩინურის რიტორიკა**. ძილინი: ძილინის ლიტერატურისა და ისტორიის გამომცემლობა.
- 李俊华. (2010). **语言委婉语研究**. 武汉: 华中师范大学出版社.
- ლი ძიუნხუა. (2010). **ლინგვისტური ეფემიზმების კლექა**. უხანი: ცენტრალური ჩინეთის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 刘春宝. (2004). **英语委婉语词典**. 北京: 外语教学与研究出版社.
- ლიოუ ჩუნპაო. (2004). **ინგლისური ეფემიზმების ლექსიკონი**. პეკინი: უცხო ენების სწავლებისა და კვლევის გამომცემლობა.

- 舒廷芳. (1995). **语言委婉现象研究**. 上海: 华东师范大学出版社.
- შუ ტინფანგი. (1995). **ლინგვისტური ევფემიზმის ფენომენის კვლევა**. შანხაი: აღმოსავლეთ ჩინეთის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 王力. (1962). **漢語詩律學**. 上海教育出版社.
- ვანგ ლი. (1962). **ძველი ჩინური**. შანხაი: შანხაის განათლების გამომცემლობა.
- 王立廷 (主编). (2005). **现代文化语词典**. 北京: 北京大学出版社.
- ვანგ ლითინგი (მთავარი რედ.). (2005). **თანამედროვე კულტურული ტერმინების ლექსიკონი**. პეკინი: პეკინის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 王维贤 等. (1989). **语言逻辑学导论**. 北京: 北京大学出版社.
- ვანგ ვეისიენი. (1989). **შესავალი ლინგვისტურ ლოგიკაში**. პეკინი: პეკინის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 王希杰. (1983). **汉语修辞学**. 北京出版社.
- ვანგ სიძიე. (1983). **ჩინური რიტორიკა**. პეკინი: პეკინის გამომცემლობა.
- 吴礼权. (1991). **汉语委婉语的修辞研究**. 北京: 商务印书馆.
- უ ლიციუენი. (1991). **რიტორიკული კვლევა ჩინური ევფემიზმების შესახებ**. პეკინი: კომერციული გამომცემლობა.
- 张公圭 (编). (2000). **汉语委婉语词典**. 北京: 商务印书馆.
- ჭანგ კუნგკუეი (რედ.). (2000). **ჩინური ევფემიზმების ლექსიკონი**. პეკინი: კომერციული გამომცემლობა.
- 张梦丽. (2020). **当代语言交际中汉语委婉语运用的特征**. 兰州交通大学文学与国际汉学院.
- ჭანგ მენგლი. (2020). **თანამედროვე ენობრივ კომუნიკაციაში გამოყენებული ჩინური ევფემიზმების მახასიათებლები**.

- 张 巧 鸽 . (2019). 汉 语 委 婉 语 语 用 功 能 探 析 .
ჭანგ ციაოკე. (2019). ჩინური ევფემიზმების პრაგმატული
ფუნქციების ანალიზი.
- 张玉萍. (1998). 汉语委婉语研究. 北京: 外语教学与研究出版社.
ჭანგ იუფინგი. (1998). კვლევები ჩინური ევფემიზმების
შესახებ. პეკინი: უცხო ენების სწავლებისა და კვლევის
გამომცემლობა